განკარგულება:**g-81. 81223413**
თარიღი:**07/12/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №68

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. ცაგერში, შოთა რუსთაველის ქ. №43-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.23.006) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442569105) გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. ცაგერში, შოთა რუსთაველის ქ. №43-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.23.006) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442569105) გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com